„ჯეოფაქტსის“ თანამშრომელთა საჯარო ქცევის კოდექსი

„ჯეოფაქტსი“ წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრავს იმ რეკომენდაციების ერთობლიობას, რომლებიც საერთო იქნება ორგანიზაციაში დასაქმებული თითოეული ადამიანისთვის, განურჩევლად მისი თანამდებობრივი პოზიციისა. მოცემული კოდექსი მოქმედებს ორგანიზაციაში არსებულ შინაგანაწესთან ერთად და წარმოადგენს იმ წესების ერთობლიობას, რომელიც ხელს შეუწყობს „ჯეოფაქტსის“ რედაქციისა თუ მისი ინდივიდუალური თანამშრომლისაგან საჯარო ქცევაში პოლიტიკური მიუკერძოებლობისა და ნეიტრალობის პრინციპების დაცვას. „ჯეოფაქტსის“ თანამშრომელთა საჯარო ქცევის კოდექსი დამტკიცებულია „ჯეოფაქტსის“ მიერ, წარმოადგენს შინაგანაწესის ნაწილს და მისი დარღვევისთვის სანქციები განსაზღვრულია შინაგანაწესის შესაბამისად.

წესი 1

„ჯეოფაქტსის“ თანამშრომლებმა საჯარო ქცევისას უნდა დაიცვან ორგანიზაციის მიერ დადგენილი წესები, შინაგანაწესის ნორმები.

წესი 2

„ჯეოფაქტსის“ თანამშრომელს საჯარო ქცევისას და კომუნიკაციისას, სარგებლობს სრული თავისუფლებით თუ მისი ქცევა არ ეწინააღმდეგება ორგანიზაციის შინაგანაწესის ნორმების და ზოგადი ეთიკის პრინციპებს.

წესი 3

„ჯეოფაქტსის“ თანამშრომელს საჯარო სივრცეში შეუძლია შევიდეს კომუნიკაციაში მისთვის საინტერესო თემაზე ნებისმიერ სხვა მომხმარებელთან, უპასუხოს შეკითხვებს ან თავად დასვას შეკითხვები სხვადასხვა მისთვის აქტუალურ საკითხთან დაკავშირებით, თუმცა ამ კომუნიკაციის ფორმები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ორგანიზაციის შინაგანაწესით განსაზღვრულ პრინციპებსა და საყოველთაოდ აღიარებულ ეთიკურ ნორმებს.

წესი 4

„ჯეოფაქტსის“ თანამშრომელს ეკრძალება საჯარო აქტივობისას თუ მედიაში კომენტირებისას არაეთიკური ლექსიკის, სიძულვილის ენის, უხამსი და ბილწი სიტყვების გამოყენება. მათ შორის ეკრძალება ამგვარი ქმედება სხვების (მესამე პირის/პირების) მხრიდან ანალოგიური ქმედებების საპასუხოდაც.

წესი 5

იმ შემთხვევაში, თუ „ჯეოფაქტსის“ თანამშრომლის მიერ საჯაროდ გავრცელებული ინფორმაცია მცდარია, უნდა გასწორდეს. გასწორება უნდა მოხდეს იმგვარად, რომ მკითხველი/მნახველი/მსმენელი მარტივად აღიქვამდეს, რომ მანამდე საჯარო კომუნიკაციაში დაშვებული იყო შეცდომა და ახალი კომუნიკაციით ეს შეცდომა სწორდება.

წესი 6

„ჯეოფაქტსის“ თანამშრომლებმა თავი უნდა შეიკავონ პოლიტიკური პრეფერენციების საჯაროდ გამოხატვისგან, ყველა დადებითი ან უარყოფითი განცხადებისგან, რომელმაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს ორგანიზაციის მიუკერძოებლობა და ობიექტურობა. აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება ორგანიზაციის მიერ მომზადებული მასალების გაზიარებაზე ან მედიაში სტუმრობისას მომზადებული სტატიის განხილვაზე, რომელიც შეიძლება შეიცავდეს კონკრეტული პოლიტიკური აქტორის კრიტიკას.

წესი 7

24 ივლისი, 2024
თბილისი, საქართველო

ორგანიზაციის თანამშრომელმა საჯაროდ არ უნდა გამოხატოს სუბიექტური შეხედულება პოლიტიკოსის, ორგანიზაციის, საზოგადოებრივი ან სხვა გაერთიანების მიმართ, რაც ეჭვქვეშ დააყენებს მათი ან „ჯეოფაქტსის“ ნეიტრალურობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებს.

წესი 8

„ჯეოფაქტსის“ თანამშრომელმა არ უნდა გაავრცელოს გადაუმოწმებელი ან/და ყალბი ამბის შემცველი ინფორმაცია. თანამშრომელი შეიძლება ამგვარ პოსტს გამოეხმაუროს მხოლოდ დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით და საკუთრი საქმიანობის ფარგლებში.

წესი 9

დაუშვებელია ორგანიზაციის თანამშრომლის იმგვარი საჯარო აქტივობა, რომელიც ზიანს მიაყენებს „ჯეოფაქტსის“ რეპუტაციასა და იმიჯს. მნიშვნელოვანია საჯარო აქტივობებში მონაწილეობისას თანამშრომელს ახსოვდეს, რომ მისი საჯარო ქცევა ცდება პირად სივრცეს.

წესი 10

დაუშვებელია „ჯეოფაქტსის“ თანამშრომელმა „ჯეოფაქტსის“ სახელით გააკეთოს რომელიმე პოლიტიკური ჯგუფის ან პოლიტიკოსის არჩევნებში მხარდაჭერის მოწოდება.

24 ივლისი, 2024
თბილისი, საქართველო